ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4917346

ნომერი: AR1726389

თარიღი : 11.03.2020

გაცემის თარიღი : 30.03.2020

გაცნობის თარიღი : 01.04.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გახოკიძე , N 2 , (ნაკვ.05/003);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ხარატიშვილი პ/ნ 01008049100
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 4ა ბ. 52

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - კაფე, ბარი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 11 მარტის AR1726389 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.19.19.005.003) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას კაფე/ბარის მშენებლობის მიზნით,
პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-დამატებით წარმოადგინეთ საპროექტო შენობის განთავსების სქემა / გენგეგმა. საპროექტო შენობა განათავსეთ სსზ-2 - ის არეალში გადმოგზავნილი დანართის შესაბამისად (იხ.დანართი); უკანა ეზოს განაშენიანების რეგულირების ხაზის დაცვით (დაიტანეთ რეგულირების ხაზი). გაითვალისწინეთ, რომ დაუშვებელია უკანა ეზოს არეალში შენობის ან მისი ნაწილის განთავსება. დაიტანეთ საპროექტო და არსებულ შენობებს შორის მანძილები.
ამასთან, ვინაიდან AR1161413, AR1161427, AR1227671 განცხადებებით შეთანხმებული შენობა-ნაგებობები მოწყობილია დარღვევით, მოწყობილია ერთიანი დიდი კონსტრუქცია, რომლის გამოყენებაც იგეგმება ახალი საპროექტო ობიექტის მშენებლობისთვის, საჭიროა წარმოდგენილი იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით და შესაბამისი ჯარიმის ქვითარი.
-თქვენი საკითხი გადაგზავნილი იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, ხოლო მათი პოზიცია (MIA 0 20 00697128 17/03/2020წ.) გადმოგეგზავნათ დანართის სახით, საჭიროა მითითებული წერილის შესაბამისად გაითვალისწინოთ შესაბამისი ნორმები და წარმოადგინოთ წერილში მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელსაც შემდგომ ხელახლა განიხილავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.
-ამასთანავე, მიწის ნაკვეთზე ვრცელდება წყალმომარაგების ძირითადი ქსელის შეზღუდვა, ვიანიდან საპროექტო შენობის ნაწილი განთავსების მიხედვით მდებარეობს შეზღუდვის არეალში, საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში 2020 წლის 11 მარტის AR1726389 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.